

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის  
რექტორის

ბრძანება № 01-01/06

ქ. თბილისი

„26 „ თებერვალი 2021

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის MES 1 21 0000159323 ბრძანები „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ და შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სასწავლო პროცესის დისტანციურად და არასიტანციურად განხორციელების წესის განსაზღვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის MES 1 21 0000159323 ბრძანები „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში:

ა. პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები წარიმართოს არადისტანციურ რეჟიმში, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული დანართი 38-ით „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის“ განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ბ. 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით „იზოლაციისა და კარანტინის წესების შესახებ“ მე- 3 მუხლით შესაბამისად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი განხორციელდეს დისტანციური სწავლების/კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით 2020 წლის 06 აპრილს რექტორის N01-01/23 ბრძანებით დამტკიცებული „შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელებისა და ადმინისტრირების წესი“-ს შესაბამისად.“

2. 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ადმინისტრაცია სამუშაო ადგილზე გამოცხადდებიან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. სასწავლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში, კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად, უნივერსიტეტის ნებისმიერი თანამშრომელი სამუშაო ადგილზე გამოცხადდება კვირის ნებისმიერ დღეს.

3. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციის (COVID-19) პრევენციასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება დაევალოს ზედამხეველი ჯგუფის შემდეგ წევრებს:

ა. გიორგი ჩიხლაძეს;

ბ. გიორგი სიხუაშვილს;

გ. თამარ გეგელაშვილს;

დ. მათა სალიას.

4. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში არადისტანციურად სწავლების განხორციელების მიზნით გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

**ძირითადი რეკომენდაციები:**

o უზრუნველყავით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა, პედაგოგთა, თანამშრომელთა და სხვა პირთა დაშვება უსაფრთხო დისტანციის დაცვით;

o შესასვლელთან განახორციელეთ თერმოსკრინინგი, რათა გააკონტროლოთ, როგორც სტუდენტებისა და პედაგოგების, ასევე ყველა თანამშრომლისა და ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტემპერატურის გაზომვით;

o სტუდენტის/პედაგოგის/თანამშრომლის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის მიზნით, ექიმის/ექთნის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყავით სამედიცინო პუნქტის/კაბინეტის ფუნქციონირება;

o დაწესებულებაში ცხელების/რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების შემთხვევისთვის გამოყავით სპეციალური საიზოლაციო ოთახი, სადაც მოხდება პირის დროებითი დაყოვნება საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის, სასწრაფო დახმარების მოსვლამდე;

o საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- უზრუნველყოფილი იყოს ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაციით;
  - აღჭურვილი იყოს დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი);
  - ხელმისაწვდომი იყოს ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი, ნიჟარა და თხევადი საპონი, ან ხელის სანიტაიზერი;
  - ყოველი გამოყენების შემთხვევაში საიზოლაციო ოთახი უნდა დამუშავდეს სველი წესით;
- o დაწესებულებების და სასადაილოს შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი, გამოყენების შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;

o თვალსაჩინო ადგილას გამოაკარით ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ; o უზრუნველყავით დაწესებულებაში პირბადეების რეზერვის არსებობა;

o უზრუნველყავით პედაგოგთა/თანამშრომელთა და სტუდენტთა დაშვება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღაბი, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარი/დამცავი სათვალე);

o სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები აღჭურვით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დახურული კონტეინერებით, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით), რომლებშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ნარჩენების პარკი ამოიღეთ და განკარგეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;

o უზრუნველყავით პედაგოგები/თანამშრომლები და სტუდენტები ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი ხელსახოცი);

o სამუშაო ადგილებზე განათავსეთ ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები და უზრუნველყავით მათი სწორად მოხმარების პრაქტიკა (შესაბამისი წესების შემუშავება და ლექტორების/თანამშრომლების/სტუდენტების ინფორმირება/ტრენინგები);

o პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყავით სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია; o უზრუნველყავით საერთო სამუშაო ფართის ყოველდღიური დეზინფექცია;

o უზრუნველყავით სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით);

o უზრუნველყავით სანიტარული წერტილების პერიოდული დეზინფექცია;

o დაწესებულება ვალდებულია სასწავლებლის ტერიტორიაზე გასაწევი ეკონომიკური საქმიანობის (კვებით მომსახურება, არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურება და სხვა) განმახორციელებელ პირს მოსთხოვოს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების მოთხოვნათა უზრუნველყოფა;

o საერთო/საცხოვრებლის (კამპუსის) ფუნქციონირება ხორციელდება „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №16 დანართის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სასტუმროებისთვის“ შესაბამისად;

o უზრუნველყოს სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანების „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული წესით.

#### **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეში გადაადგილება:**

o შენობის გარე პერიმეტრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში; გარე პერიმეტრად შესაძლებელია განხილულ იქნეს - შესასვლელი, ეზო, შენობის მიმდებარე ღია სივრცეში განთავსებული ტერიტორია) გამოიყენეთ თერმოსკრინინგის ჩასატარებლად;

o შენობაში შესვლა პედაგოგების, თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის დასაშვებია მხოლოდ პირბადით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დამცავი ფარი/დამცავი სათვალე, ბახილი, ხალათი);

o პირი, რომელიც ატარებს თერმოსკრინინგს, ვალდებულია ეკეთოს პირბადე და იცავდეს არანაკლებ 1 მეტრიან დისტანციას;

o თერმოსკრინინგისას ცხელების - 370C ან 370C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში, მოსაცდელ სივრცეში (ვერცხლისწყლის თერმომეტრი სავალდებულოა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით ყოველი გამოყენების შემდეგ);

o ტემპერატურის გადამოწმების შემდეგ 370C ან 370C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:

- პირი არ დაიშვება დაწესებულებაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;
- სტუდენტის/პედაგოგის, თანამშრომლის დროებითი დაყოვნება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) უნდა მოხდეს საიზოლაციო ოთახში;
- საჭიროების დროს დაუკავშირდით 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
- დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის ფორმაში.

#### **სავალდებულო დისტანცია საგანმანათლებლო პროცესის დროს დახურულ და ღია სივრცეებში:**

o სასწავლო აუდიტორიებში მაგიდების/მერხების განლაგება, მიზანშეწონილია, მოხდეს იმგვარად, რომ სტუდენტები არ იხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ (სტუდენტებს) შორის უზრუნველყოფილი იყოს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით განსაზღვრული დისტანციის დაცვა;

o მაგიდების პირისპირ განლაგების აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყავით მაგიდებს შორის არანაკლებ 2 მ-იანი დისტანცია;

o ლექციის/სემინარის დროს პედაგოგს (როგორც სპიკერს) უნდა ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და სტუდენტებს შორის შეუძლებელია 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა.

o ამ წესის საილუსტრაციოდ, სასწავლო აუდიტორიებში აუცილებელია შესაბამისი სტიკერებით მოინიშნოს უსაფრთხო დისტანციის განსაზღვრული ადგილები.

#### **რეკომენდაციები კვების პროცესისადმი:**

o დაწესებულების სასადილოს ფუნქციონირება შესაძლებელია, თუ ის აკმაყოფილებს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-

227/ო ბრძანების №17 დანართის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის“ მოთხოვნებს;

o არ დაუშვათ სასადილოს ფუნქციონირება, თუ შეუძლებელია მომხმარებელთა რიგში დგომის დროს უსაფრთხო დისტანციის დაცვა;

o სასადილოს შესასვლელთან ახლოს, შიდა სივრცეში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფუნქციონირებისთვის გამართული ხელსაბანები.

**ვალდებულებები სასწავლო სივრცეებისთვის:**

o პედაგოგები/ასისტენტები სამუშაო ადგილას გამოცხადნენ წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით;

o პედაგოგები/ასისტენტები და სტუდენტები მაგიდებთან არ განათავსოთ ერთმანეთის პირისპირ;

o ინტენსიურად გამოიყენეთ ბუნებრივი ვენტილაცია;

o უზრუნველყავით სამუშაო ადგილზე ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;

o არ დაუშვათ სამუშაო სივრცეში პედაგოგების/ასისტენტები და სტუდენტები, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალების გარეშე, მათ შორის:

- ნიღაბი;
- ხელთათმანი;
- სახის დამცავი ფარი;
- საჭიროების შემთხვევაში, ბახილები;
- სპეც. ტანსაცმელი/ხალათი;

o უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

**ვალდებულებები საგამოცდო ცენტრებისთვის:**

o მაგიდების განლაგებისას გამოიყენეთ სტუდენტებს შორის 2მ დისტანციის შესაძლებლობა;

o არ დაუშვით საგამოცდო ცენტრში პედაგოგები და სტუდენტები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე;

o სტუდენტები მაგიდებთან არ განათავსოთ ერთმანეთის პირისპირ;

o საგამოცდო ცენტრში სტუდენტების მისაღებად გამოიყენეთ ცვლებში მუშაობის რეჟიმი;

o ყოველი ცვლის შემდგომ გამოიყენეთ სანიტარული შესვენება;

o უზრუნველყავით საგამოცდო დარბაზის შესასვლელში ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;

o უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკა:**

o დაწესებულების ბიბლიოთეკის ფუნქციონირება უნდა განხორციელდეს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების № 36 დანართის შესაბამისად.

**პედაგოგთა/თანამშრომლეთა და სტუდენტთა ვალდებულებები:**

o დაიცავით ჰიგიენის წესები სასწავლო დაწესებულების სივრცეში;

o გამოიყენეთ სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

ო ჩაიტარეთ ხელების ადეკვატური ჰიგიენა (სულ მცირე 70% სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებების გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა. ხილული დაბინძურების, ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას სავალდებულოა ხელების წყლითა და საპნით დაბანა); o მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

5. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) პრევენციასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების კითხვარის შევსებაშესაბამისი სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე განხორციელდეს უმოკლეს ვადაში.

6. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) პრევენციასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების შემოწმების მიზნით აღრიცხვის, ტრანსპორტირებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების რეგისტრაციის ჟურნალების წარმოებაზე ზედამხედველობა დაევალოს უნივერსიტეტის ექიმს.

7. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) პრევენციასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების მიზნით ჩატარებული და ჩასატარებელი ტრენინგების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის ექიმს, რომელიც ვალდებულია უნივერსიტეტის თანამშრომლებს მიაწოდოს ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

ა. ზოგადი ინფორმაცია ვირუსის, მისი გავრცელების და დაინფიცირების გზების შესახებ.

ბ. სამუშაო ადგილზე ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, მათი გამოყენების, მნიშვნელობის და გამოყენებული იდს-ების განთავსების/მოცილების შესახებ.

გ. სამუშაო ადგილზე უსაფრთხოდ მუშაობის პროცედურების და ვირუსისაგან თავის დაცვის გზების შესახებ.

დ. სამუშაო ადგილებზე საგანგებო სიტუაციებში მოქმედების, მათ შორის დასაქმებულის მიერ მის, ან სხვა თანამშრომლისათვის ვირუსისათვის დამახასიათებელი სიპტომების დაფიქსირების შემთხვევაში მოქმედების შესახებ.

8. ტრენინგების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ადმინისტრაციის, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ინსტრუქტაჟი ჩაატაროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში შემოსვლისას სამუშაოს/სწავლების დაწყების წინ და ყველა ახალ თანამშრომელთან, სტუდენტს, ასევე ნებისმიერ პირს განმეორებით, რომელიც არ იცავს სამუშაო ადგილზე ვირუსის პრევენციის მიზნით დადგენილ წესებს. აუცილებელია ყველა ინსტრუქტაჟი ოქმში ასახვა, რომელსაც ხელს აწერს ტრენერი და მდივალი. ტრენინგის მონაწილეების გატარება მოხდეს ინსტრუქტაჟის ჟურნალში.

9. კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

10. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.

11. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება დაევალოს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს.

12. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის  
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის  
რექტორი, პროფესორი**

**გიორგი მათიაშვილი**